თბილისელები ამარცხებენ “ზენიტს”

თამაშის მე–3 წუთია. თბილისელთა მცველი სარჯველაძე გაიჭრა მარცხენა ფრთაზე და სწრაფად მიუახლოვდა კარს. ზენიტელმა ფალინმა უკანასკნელ მომენტში მოუსწრო ბურთს და პირით ხაზს იქით გადააგდო. მარჯვენა გარემარბის – კოტრიკაძის მიერ მოწოდებულ კუთხურს ადგილი კარგად შეურჩია მახარაძემ და ძლიერი თავური დარტყმით კუთხეში გაგზავნა ბურთი. ლენინგრადელებმა გაჭირვებით მოიგერიეს ეს იერიში, მაგრამ თბილისელებმა კვლავ შეუტიეს. კ. გაგნიძე სწრაფად გაიჭრა მოწინააღმდეგის რამდენიმე მცველს შორის და “ზენიტის” მეკარემ ივანოვმა შესანიშნავი ნახტომით მკერდიდან ააცალა მას ბურთი. ლენინგრადელებმა წამსვე კონტრშეტევით უპასუხეს “დინამოს”. სწრაფი კომბინაციით გავიდნენ მარჯვენა ფრთაზე და მცველებთან მოკლე, მაგრამ დაძაბული ბრძოლის შემდეგ კუთხური მოაწოდეს. ასე ტემპიანად, სწრაფად დაიწყო თბილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “ზენიტის” გუშინდელი კალენდარული შეხვედრა.

პირველი ურთიერთ შეტევის შემდეგ თბილისელები მტკიცედ დაეპატრონენ მოედანს. როგორც ყოველთვის, მაღალტექნიკურად თამაშობდა ღოღობერიძე, რომელიც დაუღალავად მოქმედებდა მოედნის შუაგულში, ოსტატურად არღვევდა მოწინააღმდეგეთა რიგებს, ზუსტად აწოდებდა პარტნიორებს და ხშირად ურტყამდა კარში. შესანიშნავად ჩაატარა თავისი დებიუტი მარჯვენა ფრთაზე ახალგაზრდა ნიჭიერმა ფეხბურთელმა ა. კოტრიკაძემ. იგი ენერგიულია, კარგად ფლობს ბურთს, მშვენივრად ხედავს მოედანს და გრძნობს პარტნიორების გადაადგილებას. ენერგიულად და გააზრებულად მოქმედებდნენ კ. გაგნიძე, კალოევი და ჭკუასელი. “დინამოს” თავდამსხმელთა ხუთეულს ჩინებულად უმაგრებდა ზურგს ნახევარმცველი მახარაძე, რომელიც წარმატებით უვნებელყოფდა თავისი “ქვეშეფის” ვინოგრადოვის მოქმედებას და თავისი გუნდის თითქმის ყოველ იერიშში იღებდა მონაწილეობას.

30–ე წუთზე “ზენიტის” ნახევარმცველმა კრავეცმა ბურთი მოიგერია და მარჯვენა გარემარბს სმირნოვს გადასცა. ეს უკანასკნელი სწრაფად გავიდა წინ, გადააწოდა ა. ივანოვს, რომელმაც ათიოდე მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

თამაშის მეორე ნახევარი მთლიანად თბილისელთა უპირატესობით ჩატარდა. ლენინგრადელების კართან ხშირად 7–8 დინამოელი იყრიდა თავს. ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს კოტრიკაძე, კალოევი, ღოღობერიძე, მაგრამ ლენინგრადელები მთელი გუნდით იცავენ თავს. “ზენიტი” ყოველი საშუალებით ცდილობს შეინარჩუნოს უპირატესობა, რისთვისაც მოთამაშეები არ ერიდებიან დროის ზედმეტად გაყვანას.

თამაშის 69–ე წუთზე ნ. გაგნიძემ გარღვევაზე გაიყვანა კოტრიკაძე, მაგრამ ლენინგრადელთა ნახევარმცველი ვოინოვი ბურთს ხელით შეეხო. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად გამოიყენა ღოღობერიძემ და ანგარიში გათანაბრდა – 1:1.

ხუთი წუთის შემდეგ მახარაძე მეტად ძნელი მდგომარეობიდან შეიჭრა “ზენიტის” საჯარიმო მოედანზე, მარჯვნივ გაიტყუა მცველი და ბურთი ცენტრში ჩააწოდა. კალოევმა ძლიერი და ამასთან ზუსტი დარტყმით ბურთი ზემო ძელის ქვეშ გახვია ბადეში (2:1).

იგრძნეს რა წაგების საშიშროება, ლენინგრადელები უკვე აღარ აყოვნებდნენ, ბურთს უმისამართოდ არ ისროდნენ, ჩქარობდნენ და… უხეშობდნენ, რაშიც ტონის მიმცემი აღმოჩნდა გუნდის კაპიტანი სმირნოვი.

83–ე წუთზე დინამოელთა ერთ–ერთი მწვავე, ტემპიანი შეტევისას "ზენიტის" ცენტრალურმა მცველმა სამარინმა თავის საჯარიმო მოედნის ფარგლებში აშკარად ხელით ითამაშა. მეორე თერთმეტმეტრიანი საჯარიმო ღოღობერიძემ ზუსტად ისევე გაიტანა, როგორც პირველი და ანგარიში გახდა – 3:1.

ბოლო ხუთ წუთში "ზენიტის" კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ანგარიში 3:1 "დინამოს" სასარგებლოდ აღარ შეცვლილა.

აღნიშნული შეხვედრა თბილისის "დინამომ" ჩაატარა ენერგიულად, მცველები თამაშობდნენ ყურადღებით, გააზრებულად. თავდამსხმელები ხშირად ურტყამდნენ კარში და ზედმეტად არ აჩერებდნენ ბურთს. გუნდის ერთადერთ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს კარში დარტყმების ნაკლები სიზუსტე.

რ. ქორიძე.
"ლელო", 26 აპრილი, 1953 წ.